

## საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში

ბატონი გიორგი ნადარეიშვილი იმ მცირერიცხოვან, მაგრამ ბედნიერ მკვლევართა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც მთელი ცხოვრება მეცნიერებას მიუძღვნეს და ერთი წუთიც არ უცხოვრიათ მის გარეშე. ვისაც საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველოში ბატონი გიორგის ყოველდღიური შრომისთვის თვალის დევნების ბედნიერება ჰქონდა, მისთვის სრულიადაც არ არის გასაკვირი, თუ როგორ ახერხებდა ეს გამოჩენილი მკვლევარი ამ რაოდენობის ნაშრომების შექმნას. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია და ამ თვალსაჩინო მეცნიერის დამსახურებული პატივისცემის დადასტურება იქნება, თუკი მოხერხდება მისი სამეცნიერო ნაშრომების სრული კრებულის გამოცემა. განსხვავებით პოზიტიური სამართლის მკვლევარი იურისტების პუბლიკაციებისაგან, მისი კვლევები არასდროს გადაიქცევა მაკულატურად. ამ ჩემი პატარა წერილით მინდა პატივი მივაგო დიდი ქართველი მეცნიერის ხსოვნას.

### კორპორაციების წესდება, როგორც კორპორაციის ორგანიზაციული და ფინანსური სტრუქტურის განმსაზღვრელი აქტი

კორპორაცია, აღიარებული შეხედულების თანახმად, წარმოადგენს საერთო მიზნის მისაღწევად შექმნილ გაერთიანებას. ამ „საერთო მიზნის“ გარეშე არ წარმოიშობა არც კორპორაციული ურთიერთობა და არც პირთა გაერთიანება.<sup>1</sup> ამ საერთო მიზანს და

<sup>1</sup> Schmidt, Gesellschaftsrecht, 4. Aufl., 2002. §4 I. S. 57.

მისი მიღწევის საკორპორაციო სამართლებრივ გზებს დამფუძნებლები და სხვა მონაწილეები კერძოსამართლებრივი შეთანხმების – გარიგების – საფუძველზე განსაზღვრავენ, რომლის გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენს ხელშეკრულება ან წესდება. **იურიდიულ პირად ორგანიზებული კორპორაციების ორგანიზაციული და ფინანსური სტრუქტურის განმსაზღვრელი ძირითადი აქტი არის წესდება.**<sup>1</sup>

კორპორაციის დაფუძნების პროცესში წესდების შედგენა და მასზე დამფუძნებელთა მხრიდან შეთანხმება (რისი გარეგნული გამოვლენა არის დოკუმენტზე ხელმოწერა) უნდა გაუთანაბრდეს ხელშეკრულების დადებას, ე.ი. უნდა ჩაითვალოს გარიგებად.<sup>2</sup> ხოლო თვითონ წესდება კი მიჩნეულ უნდა იქნეს კორპორაციის ორგანიზაციული და ფინანსური ურთიერთობების განმსაზღვრელ ძირითად დოკუმენტად, მის კონსტიტუციად.<sup>3</sup>

ჩვეულებრივი ხელშეკრულებისაგან განსხვავებით წესდების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ მისი ნორმები სავალდებულოა არა მხოლოდ კორპორაციის დამფუძნებელთათ-

---

<sup>1</sup> მაგალითად, მეწარმეთა შესახებ კანონის 5.8 მუხლის თანახმად ყველა სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციისათვის აუცილებელ ერთ-ერთ დოკუმენტს წარმოადგენს საზოგადოების წესდება. მართალია, კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში საუბარია საწარმოს წესდებაზე, მაგრამ ეს არასწორია, რადგან წესდება აქვს საზოგადოებას და არა საწარმოს.

<sup>2</sup> შესაბამისად მის მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმები გარიგებათა ნამდვილობის შესახებ. მის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, თბ. 1997, გვ. 319-321.

<sup>3</sup> წესდების სამართლებრივი ბუნების დახასიათებისას ყურადღებას იმსახურებს გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება: „წესდება, მართალია, თავიდან წარმოადგენს დამფუძნებლების მიერ დადებულ ხელშეკრულებას, მაგრამ კავშირის წარმოშობასთან ერთად იგი წყვეტს კავშირს ამ დამფუძნებლებთან. იგი მოიპოვებს საკუთარ დამოუკიდებელ სამართლებრივ სიცოცხლეს, იქცევა კავშირის საკორპორაციო კონსტიტუციად და ახდენს ამის შემდგომ კავშირის წევრების სამართლებრივი ნების ობიექტივირებას. დამფუძნებელთა ნება და ინტერესები უკანა პლანზე გადაიწევენ; მათ ადგილს კი იკავებს კავშირის მიზანი და წევრების ინტერესები.“ კავშირის წესდების მიმართ გამოთქმული ეს შეხედულება თანაბრად ეხება ყველა სხვა კორპორაციას. BGHZ 47, 172, 179.

ვის, ე.ი. წესდებაზე ხელმომწერთათვის, არამედ იმათთვისაც, ვინც მომავალში გახდება ამ კორპორაციის წევრი ან პარტნიორი, თუმცა მათ წესდებაზე ხელი არ მოუწერიათ.

წესდება კორპორაციის შიდაორგანიზაციული აქტია, რომლის მინიმალურ და აუცილებელ რეკვიზიტებსაც კანონი განსაზღვრავს.<sup>1</sup> სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა წესდების, როგორც სავალდებულო დოკუმენტის, კონცეფციაზე და იგი შეცვალა სარეგისტრაციო განაცხადის ცნებით. 2006 წლის 14 დეკემბრის ცვლილებებმა მთელი არაკომერციული საკორპორაციო სამართალი მხოლოდ რეგისტრაციამდე დაიყვანა და წევრობასთან დაკავშირებული უამრავი და არსებითი საკითხი სამართლებრივი რეგულირების გარეშე დატოვა. ამით კანონმდებელმა უარი თქვა იმაზე, რომ არასამეწარმეო კორპორაციათა განვითარება საქართველოში ჯანსაღ საკანონმდებლო ფუნდამენტზე შემდგარიყო. ასეთი მიდგომა კიდევ უფრო ზრდის წესდების, როგორც შიდასამართლებრივი დოკუმენტის, მნიშვნელობას, თუმცა საკანონმდებლო ორიენტირისა და ჩარჩო პირობების გარეშე ძალიან გაჭირდება სრულფასოვანი საწესდებო ავტონომიის განვითარება.

წესდებასთან დაკავშირებული კანონის ნორმების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ **წესდების სავალდებულო და ფაკულტატიური რეკვიზიტები.**<sup>2</sup> პირველს უნდა შეიცავდეს ყველა წესდება, ხოლო მეორე დამოკიდებულია დამფუძნებლების ნებაზე.<sup>3</sup> კომერციული კორპორაციების წესდე-

<sup>1</sup> წესდების რეკვიზიტების საკანონმდებლო რეგულირების თვალსაზრისით უფრო სრულყოფილი იყო სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავდა კავშირების წესდების შინაარსს, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლის რედაქცია 2006 წლის 14 დეკემბრის ცვლილებებამდე.

<sup>2</sup> ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. გვ. 262.

<sup>3</sup> მაგალითად, კავშირის წესდებაში სამოქალაქო კოდექსის 2006 წლის 14 დეკემბრის ცვლილებებამდე აუცილებლად უნდა შესულიყო შემდეგი მონაცემები: ა. საქმიანობის მიზნები; ბ. სახელწოდება; გ. ადგილსამყოფელი (იურიდიულ მისამართი); დ. ქონების ლიკვიდაციისა და განაწილების წესი; ე. კავშირის დამფუძნებლების, გამგეობის ყველა წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია

ბის ერთ-ერთ სავალდებულო მოთხოვნას, როგორც წესი, წარმოადგენს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის დაფიქსირება. მეწარმეთა კანონის 2008 წლის 14 მარტის ცვლილებებმა ამ ბანალურ ჭეშმარიტებაზეც თქვა უარი და კანონის მე-5 მუხლის მე-8 აბზაცში წესდებით წილობრივი მონაწილეობის განსაზღვრის მხოლოდ შესაძლებლობა განამტკიცა. ეს კიდევ უფრო ზრდის წესდების პრაქტიკულ მნიშვნელობას და კორპორაციის დამფუძნებლებმა ამ საკითხს განსაკუთრებით უნდა მიაქციონ ყურადღება.

წესდების, როგორც კორპორაციის კონსტიტუციის, დახასიათებისას ყურადღებას იმსახურებს მისი **ფორმის** საკითხი. ქართული სამართლის მიხედვით ყველა სამეწარმეო კორპორაციის წესდება უნდა შედგენილიყო წერილობით და დამოწმებულიყო სანოტარო წესით (მეწარმეთა შესახებ კანონის 5.7 მუხლის ძველი რედაქცია).<sup>1</sup> სანოტარო წესით უნდა დამოწმებულიყო ასევე კავშირის წესდებაც (სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილის ძველი რედაქცია). ამრიგად, იურიდიული პირი კორპორაციების წესდებათა სანოტარო წესით დამტკიცება ამ წესდებათა ნამდვილობის წინაპირობა იყო. ბოლო ცვლილებებით როგორც სამოქალაქო კოდექსში, ისე მეწარმეთა კანონში ეს მოთხოვნა გაუქმდა. უფრო მეტიც, მეწარმეთა კანონის მე-5 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად რეგისტრაციისთვის წესდების წარდგენა საერთოდ არ არის სავალდებულო. თუმცა სერიოზული მეწარმეებისთვის და სერიოზული არაკომერციული იურიდიული პირების დამფუძნებლებისთვის ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის წესდების მნიშვნელობას. რადგან კანონი დუმს მათთვის მნიშვნელოვან მრავალ საკითხზე, ისინი უნდა შეეცადონ ეს საკითხები წესდებაში გაითვალისწინონ და იქ მოაწესრიგონ.

წესდების სამართლებრივი ბუნების გარკვევას პრაქტიკუ-

---

და საცხოვრებელი ადგილი, გამგეობის სხდომების დანიშნვისა და მათზე გადაწყვეტილებების მიღების წესები; ვ. კავშირის წევრთა უფლებამოსილება.

<sup>1</sup> მეწარმეთა შესახებ კანონში 2006 წლის 25 მაისს განხორციელებული ცვლილებებით დამკვიდრდა ტერმინი „ნოტარიული დამოწმება“, რაც არ მიმაჩნია სწორად. „სანოტარო დამოწმება“ უფრო კორექტულია.

ლი მნიშვნელობა აქვს. პირველი, რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული წესდების ნამდვილობისა თუ ბათილობის საკითხის გადაწყვეტისას – სახელშეკრულებო სამართლის, გარიგებების შესახებ ნორმები თუ სხვა? მეორე, რამდენად სავალდებულოა წესდებაში მოცემული ნორმები მესამე პირთათვის. განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი მაშინ, როცა წესდება საქმიანობის ისეთ სახეობებს შეიცავს, რომელთათვისაც სავალდებულოა სახელმწიფოს ნებართვა ანდა ისეთ საკითხებს არეგულირებს, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაა. წესდების რეგისტრაცია, ე.ი. სახელმწიფოს მიერ ამ აქტის აღიარება, ავტომატურად ანიჭებს თუ არა წესდებაში მოცემულ დებულებას იურიდიულ ძალას?

წესდება, უპირველეს ყოვლისა, არის შიდა კორპორაციული დოკუმენტი, რომელიც მოცემული კორპორაციის (საზოგადოების, კავშირის) წევრთა უფლებრივი, ქონებრივი, ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებას შეიცავს და ამდენად სავალდებულოა ამ კორპორაციის წევრებისთვის. წესდების ნორმები მესამე პირთათვის შეიძლება სავალდებულო იყოს მხოლოდ მაშინ, თუკი ამგვარ სავალდებულობას კანონი ითვალისწინებს. ამდენად, წესდება შიდაკორპორაციული სამართლის წყაროს წარმოადგენს და სავალდებულოა შესასრულებლად კორპორაციისთვის, თუკი ამ წესდების ნორმები არ ეწინააღმდეგება კანონს ან კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

მართალია, წესდების ნამდვილობის მიმართ გარიგებათა შესახებ წესები უნდა იქნეს გამოყენებული, მაგრამ ეს უფრო იმ საკითხებს შეეხება, რომლებიც ნების გამოვლენის ნამდვილობას განსაზღვრავენ. ამის იქით წესდებას თავისი ავტონომიური, დამოუკიდებელი ცხოვრება აქვს, რომელიც არ არის სახელშეკრულებო ცხოვრების იდენტური, მაგრამ ამ უკანასკნელის წარმოშობისა და განვითარების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს.

## წესდება და წესდების გარე საკორპორაციო შეთანხმებები

განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნის საკორპორაციო სამართლი-საგან, ქართული საკორპორაციო სამართალი იურიდიული პირი კორპორაციების დაფუძნებისთვის არ მოითხოვს დამფუძნებელი ხელშეკრულების არსებობას. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ კორპორაციის დამფუძნებლებმა კორპორაციის დაფუძნების, მართვის, ფინანსებისა და სხვა კორპორაციული საკითხების თა-ბაზე შეთანხმება დამფუძნებელი ხელშეკრულებით გააფორმონ. ქართული სამართლის მიხედვით აუცილებელია, რომ ხელშეკრუ-ლების ის საკითხები, რომლებიც კანონით წესდებას განეკუთვნე-ბა, წესდებაში აისახოს.

გარდა ზემოთ აღნიშნული ამ შემთხვევისა, ქართული სა-კორპორაციო სამართალი იძლევა იმის შესაძლებლობას, ზოგიერ-თი საკითხი კორპორაციის წევრებმა ან პარტნიორებმა ცალკე შეთანხმებითაც მოაგვარონ. მაგალითად, ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს მეწარმეთა შესახებ კანონის 3.7 მუხლი, რომლის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ შეტანილი შენატანებისაგან დამოუკიდებლად განსაზღვრონ განსხვავებული უფლება-მოვალეობები (მუხლი 3.9). ასეთ შეთანხმებებს პირო-ბითად **წესდების გარე საკორპორაციო შეთანხმებები** შეიძლება ვუ-წოდოთ.

წესდების გარე საკორპორაციო შეთანხმებების ნამდვილობის წინაპირობებს კანონი უკვე აღარ ადგენს. თუკი 2008 წლის 14 მარტის ცვლილებებამდე სანოტარო ფორმის დაცვა სავალდებუ-ლო იყო, ახლა ეს წესი გაუქმებულია.

განსხვავებით მეწარმეთა შესახებ კანონის ძველი რედაქ-ციისაგან, რომელიც სამეწარმეო საზოგადოებათა მთავარ დო-კუმენტად წესდებას განამტკიცებდა, 2008 წლის 14 მარტის ცვლილებებით წესდება მხოლოდ ფაკულტატიური დოკუმენტია, თუმცა კანონის კერძო ნაწილში კანონმდებელი არაპირდაპირ

მაინც აღიარებს წესდების მნიშვნელობასა და მის აუცილებლობას, მაგალითად, 46-ე მუხლი. ამდენად, მეწარმეთა კანონი ამ ნაწილში მეტად არათანმიმდევრული და უსისტემოა, რაც უამრავ პრობლემას შექმნის კორპორაციათა სამართლებრივი რეგულირებისას.

## ხელშეკრულების თავისუფლება და საკორპორაციო სამართლებრივი ბოჭკოები

კორპორაციების დაფუძნების თავისუფლება ხელშეკრულების თავისუფლების მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენს. მაგრამ ამ თავისუფლებას თვალსაჩინო ფარგლებს უწესებენ საკორპორაციო სამართლებრივი შებოჭვები, რომლებიც, როგორც წესი, იმპერატიულ ნორმებში გამოიხატება. მაგალითად, არასამეწარმეო საქმიანობის განსაზღვრელობა მსურველებს შეუძლიათ დააფუძნონ მხოლოდ არაკომერციული იურიდიული პირები. სხვა შეზღუდვები კანონით პრაქტიკულად არ არსებობს, რაც სრულ საწესდებო ავტონომიას ნიშნავს და რაც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართული საკორპორაციო სამართლისთვის მხოლოდ პრობლემების მიზეზი შეიძლება გახდეს.

საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება მდგომარეობს **საწესდებო ავტონომიაში**. ცნობილია, რომ მსოფლიოს უდიდესი კორპორაციები ქცევის წესებსა და პირობებს თვითონ ადგენენ და თვითონვე უზრუნველყოფენ ამ წესების შესრულებას. ამის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება *ფიფა* ან *უეფა*, რომლებიც პრაქტიკულად განსაზღვრავენ და ახორციელებენ მსოფლიოს საფეხბურთო სამართალს. ფეხბურთის რეგიონული ან ნაციონალური ფედერაციები, რომლებიც *ფიფას* წევრები არიან, ვალდებულნი არიან შეასრულონ ის წესები, რომლებიც *ფიფას* მიერ არის დადგენილი.

საწესდებო ავტონომიის პრინციპი ორ მნიშვნელოვან ასპექტს შეიცავს: პირველი მდგომარეობს იმაში, რომ კორპორაცია თავისი წესდების მეშვეობით თვითონ ადგენს თამაშის წესებს, რომელთაც სავალდებულო ხასიათი აქვთ ამ კორპორაციის წე-

ვრებისთვის. მეორე ასპექტი გულისხმობს იმას, რომ ამ წესების დადგენა და შეცვლა მხოლოდ კორპორაციის წევრთა კომპეტენციაა და გარეშე პირებს ამ წესების არც დადგენა და არც შეცვლა არ შეუძლიათ.

საწესდებო ავტონომია არ შეიძლება სამართლებრივი სისტემისა და სამართლებრივი წესრიგისაგან იზოლირებულად იქნეს განხილული. საწესდებო ავტონომია არ იძლევა იმის უფლებას, რომ კორპორაციამ კანონის საწინააღმდეგო წესები დაადგინოს. თუ როგორი წესები უნდა ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგოდ, ეს ყოველი კონკრეტული საკითხის შეფასებისას უნდა დადგინდეს და ეს ხდება მაშინ, როცა სასამართლოს უწევს ამა თუ იმ დავის გადაწყვეტა. მაგალითად, ცნობილია, რომ ფიფა და უეფა საფეხბურთო დავების სასამართლოსეული განხილვის შესაძლებლობას არ უშვებს, რაც ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე, რომელსაც ბოსმანის საქმე ეწოდება, ევროპის სასამართლომ არ გაითვალისწინა და აღნიშნა, რომ ევროპის კავშირის შიგნით პროფესიონალი ფეხბურთელები ჩვეულებრივი მუშა-მოსამსახურეები (დასაქმებულები) არიან და მათზე სახელმწიფოს კანონებით დადგენილი წესები უნდა გავრცელდეს.<sup>1</sup>

ამრიგად, მიუხედავად საწესდებო ავტონომიის ფართო ფარგლებისა, რომელიც თანამედროვე განვითარებული სამართლებრივი სახელმწიფოების საკორპორაციო სამართლისთვის დამახასიათებელია, სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა და უპირატესობა მაინც გადამწყვეტია. კორპორაციული წესები იმდენად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია, რომ ყოველი მათგანის მართლზომიერების შემოწმება ძალიან რთულია. ამიტომ, კორპორაციული წესების მართლზომიერების საკითხი, როგორც წესი, მაშინ დგება, როცა ისინი ინტერესთა კონფლიქტის ობიექტად აღიქმებიან.

<sup>1</sup> დაწვრილებით ბოსმანის საქმეზე გადაწყვეტილება იხილეთ: <http://europa.eu.int/eur-lex/lex/LexUriServ.do> es გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1995 წლის 15 დეკემბერს და მან პროფესიონალ ფეხბურთელებს უფლება მისცა საფეხბურთო კლუბთან დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ კომპენსაციის გარეშე გადავიდნენ სხვა კლუბში, რისი უფლებაც ფეხბურთელებს ამ გადაწყვეტილებამდე არ ჰქონდათ.



ქტი ხდება ან მათ გამო დავა წარმოიშობა. ეს კონფლიქტი სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის სასარგებლოდ წყდება და საწესდებო ავტონომია ამ შემთხვევაში უკან იხევს.

## იმპერატიული და დისპოზიციური ნორმები საკორპორაციო სამართალში

საკორპორაციო სამართალი, როგორც კერძო სამართლის ნაწილი, ჩვეულებრივ შედგება იმპერატიული და დისპოზიციური სამართლის ნორმებისაგან. დისპოზიციური ნორმები, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფენ კერძო ავტონომიას, რომლის გავლენა საკორპორაციო სამართალში საწესდებო ავტონომიაა.

სამართლის ნორმების დაყოფა დისპოზიციურ და იმპერატიულ ნორმებად, ნებისმიერი იურისტისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. არც ის არის სიახლე, რომ იმპერატიული ნორმები შესასრულებლად არის სავალდებულო, ხოლო დისპოზიური იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ურთიერთობის მონაწილეებმა თვითონვე დაადგინონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

სირთულეს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რომელი ნორმა არის იმპერატიული და რომელი დისპოზიციური. იმ შემთხვევაში, როცა კანონი იყენებს გამოთქმებს „უნდა შეიცავდეს“, „საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა“, „საზოგადოების წესდება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით“ და ა.შ., უდავოა, რომ საქმე გვაქვს იმპერატიულ ნორმებთან. მაგრამ არის ნორმები, რომელთა სამართლებრივი ძალის საკითხი მხოლოდ ინტერპრეტაციის შედეგად შეიძლება დადგინდეს. მაგალითად, 2006 წლის 25 მაისის კანონის ამოქმედების შემდეგ, რომლითაც ცვლილებები და დამატებები შევიდა მეწარმეთა შესახებ კანონში, კანონის მე-5 მუხლი აღარ შეიცავს მითითებას იმაზე, რომ სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს სავალდებულო ორგანოს სააქციო საზოგადოებისთვის. კანონის მეოთხე თავის ანალიზი კი არაორაზროვნად ადასტურებს, რომ ასეთი ორგანო სააქციო საზოგადოებისთვის სავალდებულოა. ამდენად, საქმე გვაქვს იმპერატიულ წესთან,

რომლის იმპერატიული ბუნება მხოლოდ განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს.

ჩვეულებრივ იმპერატიული ნორმების მიზანი არის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაცვა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამიტომ ყოველი იმპერატიული ნორმის განხილვისას თვალში საცემია ის, თუ რა მიზანს ისახავდა კანონმდებელი ამა თუ იმ სავალდებულო წესის დადგენით. მაგალითად, როცა კანონი ადგენს წესს, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისთვის საზოგადოების კრედიტორების წინაშე პირადად და სოლიდარულად აგებენ პასუხს (მეწარმეთა შესახებ კანონის 3.3 მუხლი) და მათ ამ წესის შეცვლა არ შეუძლიათ, ამით კანონმდებელი იცავს კრედიტორების ინტერესებს, რამაც საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველყოს საიმედო და პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული ურთიერთობების დამკვიდრება.

საკორპორაციო სამართალი კორპორაციების სრულიად განსხვავებულ ფორმებს არეგულირებს, რომელთა მნიშვნელობა ცხოვრებაშიც განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, დისპოზიციური და იმპერატიული ნორმების რაოდენობრივი თანაფარდობა ამ ფორმების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, კაპიტალური საზოგადოებების, როგორცაა შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებები, შესახებ ნორმები უფრო იმპერატიულია, ვიდრე ამხანაგობის ტიპის საზოგადოებების, ე.ი. სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოებების. ეს აიხსნება იმით, რომ კაპიტალურ საზოგადოებებში, განსაკუთრებით სააქციო საზოგადოებებში, საქმე გვაქვს კაპიტალის, მათ შორის უცხო კაპიტალის, დიდ კონცენტრაციასთან, რაც ინვესტორების უფლებების განსაკუთრებულად დაცვას მოითხოვს.

## დასკვნა

მართალია ქართულ სამართალში განხორციელებული ცვლილებები საკორპორაციო სამართალში ფართო საწესდებო ავტონომიის განმტკიცებას უჭერენ მხარს, რაც საკორპორაციო სამართლისთვის მეტად მნიშვნელოვანია, ღიად ტოვებენ მრავალ საკითხს, რომლებიც კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ტრადიციის მიხედვით კანონით უნდა იყოს მოწესრიგებული. ამით მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება სამართლებრივი სტაბილურობა. ეს თანაბრად შეეხება როგორც კომერციულ, ისე არაკომერციულ კორპორაციებს. ეს კი დღის წესრიგში ცვლილებების აუცილებლობას აყენებს.